


გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენსიით (UNCRPD) დადგენილი სტანდარტები



Brot
für die Welt

Bread for the World -
Protestant
Development Service



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**გაეროს შვიდმდული შესაძლებლობის მქონე პირთა
უფლებების კონვენციით (UNCRPD) დადგენილი
სტანდარტები**

თბილისი
2020

კვლევა მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში – „ყველაზე მოწყვლადი პირების და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში“. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

კვლევის ხელმძღვანელი:	მერაბ ქართველიშვილი მზია გოჩელაშვილი
ავტორი:	მარინა კობახიძე
კვლევის მომზადებაში მონაწილეობდნენ:	მაკა აბულაძე მარიამ ოზაშვილი
რედაქტორი:	ხათუნა ყვირალაშვილი
ყდის დიზაინი:	ნინო გაგუა

სარჩევი

შესავალი	3
კვლევის მეთოდოლოგია.....	6
კვლევის ძირითადი მიზნები	8
გაერთიანებული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UNCRPD).....	11
საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა.....	16
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	18
დასაქმება	22
ბანათლება	29
მისაწვდომობა.....	35
საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“	41
საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ (პროექტი).....	46
დასკვნა.....	50
რეკომენდაციები.....	52

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ საკუთარი უფლებების სათანადო რეალიზებას. ისინი, სხვების მსგავსად, ვერ სარგებლობენ ყველა იმ უფლებითა და შესაძლებლობით, რომლებიც თითოეულ ადამიანს დაბადებისთანავე ენიჭება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ერთ-ერთ ყველაზე გარიყულ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ისინი დღემდე აწყდებიან სისტემურ დაბრკოლებებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მათ არ აქვთ შესაძლებლობა, სხვების თანასწორად ისარგებლონ კონსტიტუციით დაცული უფლებებით. ამასთან, პრაქტიკა აჩვენებს, რომ შშმ პირებისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად რჩება ხელმისაწვდომობა საჯარო სივრცეებზე, შენობა-ნაგებობებზე, ჯანდაცვის, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებსა თუ სატრანსპორტო საშუალებებზე, საგანმანათლებლო და სახელმწიფო დაწესებულებებზე.¹ აღნიშნული კი, მიუთითებს, რომ პრაქტიკაში არ ხდება ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება.

¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 263. თბილისი, 2019 წელი. ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> {09.12.2020}.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციის (შემდგომში - UNCRPD) მიღების შემდეგ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვამ მსოფლიოში ახალ ეტაპზე გადაინაცვლა. საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია 2013 წლის დეკემბერში განახორციელა, ძალაში კი, 2014 წლის მარტში შევიდა. შედეგად, მნიშვნელოვანი გახდა სახელმწიფო პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის საჭირო მექანიზმების ასახვა. კონვენციის რატიფიცირებამდე საქართველოში შშმ პირთა უფლებებს იცავდა 1995 წლის კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ (რომელიც დღემდე ძალაშია). თუმცა, აღნიშნული კანონის მთავარ „ნაკლად“ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული უფლებების პრაქტიკაში განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტი - აღსრულების მექანიზმი.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში (UNCRPD) მოცემული განმარტების თანახმად, ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი“ ეხება ყველა ადამიანს, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე აღენიშნება ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური ან მგრძობელობითი უნარების გაუარესება, რასაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპის ნეგატიური დამოკიდებულებების ან ფიზიკური ბარიერების არსებობისას, შეუძლია, ხელი შეუშალოს ამ პირების სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.²

დეფინიციიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს სამი ფაქტორი, რომელიც, საბოლოოდ, იძლევა შეზღუდულ შესაძლებლობას. ესენია:

- ადამიანის სხვადასხვა სახის დარღვევები;
- დარღვევების ხანგრძლივი ეფექტი;
- ბარიერები, რომლებიც მოიცავს დამოკიდებულებით, გარემო და ინსტიტუციურ დაბრკოლებებს, იწვევს შშმ პირთა გარიყულობას, იზოლაციას და სხვებთან თანასწორ პირობებში იმ უფლებებით სარგებლობის უგულებელყოფას, რომლებიც თითოეულ ადამიანს დაბადებისთანავე ენიჭება.³

² UNCRPD, მუხლი 1, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0> {12.06.2019}.

³ მენაბდე ვ. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები - უნივერსალური გამოწვევა“, კონსტანტინე კორკელია, სტატიათა კრებული, 2011 წელი, თბილისი.

კონვენცია შეზღუდულ შესაძლებლობას განიხილავს, როგორც ადამიანისა და გარემოს ურთიერთმიმართების შედეგს და მას არ უკავშირებს ნოზოლოგიას, რითაც ცვლის სამედიცინო მიდგომას. კონვენცია ცდილობს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ხედვის ჩამოყალიბებას შშმ პირთა მიმართ. მისი მიზანია, წევრ სახელმწიფოებს დაანახოს ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტის გარეშე შშმ პირები ვერ ისარგებლებენ ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სხვების თანასწორი პრინციპით.⁴

მოუხედავად იმისა, რომ UNCRPD-ის რატიფიცირებიდან 7 წელი გავიდა, საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით არსებითად არაფერი შეცვლილა, ვინაიდან სახელმწიფოს ამ მიმართულებით არცერთი რეალური რეფორმა არ გაუტარებია. დღემდე არ არის შემუშავებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების შეფასების სოციალური მოდელი, არ შექმნილა გაეროს კონვენციის აღსრულებაზე პასუხისმგებელი მექანიზმი, არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი სტატისტიკა და სხვა.⁵

კვლევას თან ერთვის რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებისთვის. საია იმედს გამოთქვამს, რომ მოცემული მიგნებები და რეკომენდაციები გამოყენებული იქნება შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

⁴ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის სარეკომენდაციო კონცეფცია, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2014 წელი, თბილისი.

⁵ იქვე.

კვლევის მეთოდოლოგია

დოკუმენტში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესაბამისობა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან. გაანალიზებულია კონვენციის რატიფიკაციიდან დღემდე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, შემუშავებული პროგრამები კონვენციის პრინციპებთან მიმართებით. მიმოხილულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი და მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის ზედამხედველობის კუთხით შესაბამისი ორგანოების საქმიანობის შესახებ.

კვლევა მომზადდა სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით:

- **საჯარო ინფორმაცია** - საიამ გამოითხოვა რელევანტური საჯარო ინფორმაცია შემდეგი უწყებებიდან: სოციალური მომსახურების სააგენტო, საჯარო სამსახურის ბიურო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სააგენტო და საქართველოს მთავრობა.
- **კანონმდებლობისა და რელევანტური სტანდარტების ანალიზი** - საიამ გაანალიზა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასა და იმ საერთაშორისო კანონმდებლობასთან, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

- **ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა** - საიამ გააანალიზა აღნიშნული გეგმის მე-19 თავი, რომელიც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს. აღნიშნული კვლევის ფარგლებში შეფასდა მოცემული თავის შესაბამისობა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის პრინციპებთან.
- **მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამები** - მოცემული კვლევის ფარგლებში საიამ გააანალიზა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამები და შეაფასა მათი რელევანტურობა აღნიშნულ პირთა საჭიროებებთან.

კვლევის ძირითადი მიზნები

- ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ანალიზმა ცხადყო, რომ გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის უმრავლესობა კვლავაც არ არის პრაქტიკაში რეალიზებული. აღნიშნული კი, უარყოფითად აისახა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე.
- ქართულ სამართლებრივ სისტემაში არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი ცვლილებები გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მისადაგებისა და კონვენციის პრინციპების იმპლემენტაციის მიმართულებით.
- კვლევამ აჩვენა, რომ კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება ინკლუზიური განათლების სრულყოფილად რეალიზების საკითხი. ამ სფეროში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები აწყდებიან ისეთ პრობლემებს, როგორცაა სკოლებში არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, სპეცპედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობა.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ორგანული კანონებით აღიარებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლება, ბარიერები კვლავ არსებობს ამ უფლების რეალიზების კუთხით. ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩო არ უზრუნველყოფს ბავშვისა და სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სტრუქტურირებულ და მოქნილ სისტემას.
- პრობლემურია განათლების სისტემის მიღმა დარჩენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების საკითხი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში

ხელმისაწვდომია სტატისტიკური მონაცემი მხოლოდ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც სკოლაში ირიცხებიან. ქვეყანაში არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვია დარჩენილი ფორმალური განათლების მიღმა.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრის წესი კვლავ ინდივიდის სამედიცინო დიაგნოზს ეფუძნება. პრობლემას წარმოადგენს ამ პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოება და ანალიზი, რაც აუცილებელია კონვენციის ეფექტური იმპლემენტაციისთვის, პოლიტიკის შემუშავების, პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისას საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების დამკვიდრებისთვის.
- საქართველოს მთავრობას ამ დრომდე არ განუსაზღვრავს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება.
- საქართველოს პარლამენტს არ განუხორციელებია კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალებას მისცემდა, უფლებების დარღვევის შემთხვევაში პირდაპირ მიემართათ გაეროს შესაბამისი კომიტეტებისთვის.
- როგორც „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ შესახებ კანონპროექტის ანალიზმა აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო გარკვეულწილად ცდილობს, სამართლებრივი სისტემა მიუსადაგოს გაეროს კონვენციას, იგი არ გამოხატავს მზაობას მოცემული უფლებების რეალიზების ვალდებულებად აღქმის კუთხით და მის შესრულებას კეთილ ნებაზე აფუძნებს.

დასაქმების სფეროში შეინიშნება გარკვეული პროგრესი, თუმცა, სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია და მოითხოვს მათი მხრიდან უფრო მეტ ძალისხმევასა და აქტიურობას.

- პრობლემას წარმოადგენს დასაქმების კონსულტანტთა სიმცირე, მათი კვალიფიკაცია და, ზოგადად, ამ პროფესიის განვითარება.
- დასაქმების პროგრამაში ჩართული შშმ პირების რაოდენობა კვლავ ძალიან მცირეა.
- საგადასახადო კოდექსში არ არის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი კერძო კომპანიებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შემთხვევაში.
- კვლავ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობის საკითხი. სახეზეა არაერთი გამოწვევა, რომელიც აფერხებს შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობას, მათ მონაწილეობას შრომით ურთიერთობებში, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

- პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სივრცის მოწყობის სამშენებლო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა და მათი აღსრულების ეფექტური ზედამხედველობა.
- ამ დრომდე ქართულ ენაზე არ არის ნათარგმნი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში მითითებული დოკუმენტი „მისაწვდომი და გამოყენებადი შენობები და ობიექტები“ (ICCANSI A.117.1.2009), ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ მომხდარა მისი რეგისტრაცია სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UNCRPD)

2009 წლის 18 ივლისს საქართველოს წარმომადგენელმა გაეროში, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაცემული სპეციალური უფლებამოსილების ფარგლებში,⁶ ხელი მოაწერა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას, რითაც დაადასტურა სახელმწიფოს მიზნების თანხვედრა იმ მიზნებსა და პრინციპებთან, რომლებსაც აღნიშნული კონვენცია ეყრდნობა. საქართველოს პარლამენტმა კი, მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 2013 წლის 28 დეკემბერს განახორციელა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება, რომელიც 2014 წლის 12 აპრილს შევიდა ძალაში. კონვენციის რატიფიცირება ფაკულტატური ოქმის გარეშე განხორციელდა და გაეროს 2006 წლის კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების საკითხი დღემდე კვლავ ღიად რჩება. მისი რატიფიცირების შემთხვევაში კი, შშმ პირებს მიეცემა შესაძლებლობა, ინდივიდუალურ უფლებადარღვევებზე გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტს მიმართონ.

კონვენციის რატიფიცირება ქვეყანას ავალდებულებს შშმ პირებისთვის თანაბარუფლებიანი გარემოს შექმნას, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას სოციალური ფუნქციონირების ყველა სფეროში, რაც გულისხმობს ხელმისაწვდომ და საჭიროებებზე მორგებულ განათლებას, დასაქმებას, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობას. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს საქართველოს

⁶ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N249, 2009 წლის 14 მაისი, თბილისი, ა. ლომაიასთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1267445> {12.12.2019}.

კანონმდებლობის რევიზია და კონვენციის ნორმებთან მისი სრული ჰარმონიზაცია. ასევე, ქვეყნის ხელისუფლებამ ყველა ზომას უნდა მიმართოს, რათა კონვენციით განსაზღვრული უფლებები პრაქტიკაში განხორციელდეს.

კონვენციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის დებულებათა შესასრულებლად საჭირო კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისა და განხორციელებისას კონსულტაცია გაიაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და შშმ პირთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან.

წევრი სახელმწიფო ვალდებულია, გაატაროს შესაბამისი ზომები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პროგრესული რეალიზებისთვის მის ხელთ არსებული რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენებით. ეს ვალდებულება, რომელსაც პროგრესულ რეალიზაციას უწოდებენ, აღიარებს, რომ ხშირად აღნიშნული უფლებების სრულად რეალიზებას დრო სჭირდება – მაგალითად, როდესაც უფლებათა დასაცავად საჭიროა სოციალური უზრუნველყოფის ან ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება.

UNCRPD-ის 33-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები, მათი მმართველობის სისტემის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციის შიგნით ასახელებენ ერთ ან რამდენიმე საკონტაქტო უწყებას, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.⁷ მონაწილე სახელმწიფოები, მათი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სისტემის შესაბამისად, ქვეყნის შიგნით ინარჩუნებენ, აძლიერებენ, ასახელებენ ან აყალიბებენ წინამდებარე კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგისთვის აუცილებელ სტრუქტურას, რომელიც საჭიროების მიხედვით მოიცავს ერთ ან რამდენიმე დამოუკიდებელ მექანიზმს.⁸

კონვენციის რატიფიცირების შემდეგ კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე

⁷ გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ (UNCRPD), 33-ე მუხლი, პირველი პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0> {12.12.2019}.

⁸ იქვე, მე-2 პუნქტი.

მომუშავე უწყებათაშორისი სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო,⁹ კოორდინაციის მექანიზმად კი – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ორგანოები შეიქმნა საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, თუმცა, შემდგომ აღარ მომხდარა მათი გამყარება შესაბამისი ნორმატიული ჩანაწერებით. გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენდა შშმ პირთა უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს მთავრობის მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოს, რომლის ფუნქცია ამ მიმართულებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია იყო. საბჭოს მანდატის გათვალისწინებით, იგი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ ორგანოდ, ვინაიდან ის არ იღებდა გადაწყვეტილებებს სახელმწიფო პოლიტიკაზე, არამედ მხოლოდ სათათბირო ფუნქცია გააჩნდა. ამასთან, საბჭოს შემადგენლობა არ განახლებულა დადგენილ ვადაში და, დღევანდელი მდგომარეობით, ის უმოქმედოა. შესაბამისად, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირებიდან 7 წლის შემდეგ ეროვნულ დონეზე მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება ჯერაც არ არის განსაზღვრული.

როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილიდან¹⁰ ირკვევა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო მოცემულ მომენტში, „გაეროს განვითარების პროგრამისა“ (UNDP) და „ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის“ (OHCHR) მხარდაჭერით, მუშაობს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებული საკოორდინაციო მექანიზმის შექმნაზე.

კონვენციის რატიფიცირების შემდეგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც მთავრობამ მიიღო, იყო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“. მისი შინაარსი სრულად შეესაბამებოდა კონვენციის პრინციპებს, თუმცა, გეგმის ეფექტური იმპლემენტაცია დამოკიდებული იყო ფინანსურ ნაწილზე. კერძოდ, გეგმით გათვალისწინებული აქტივობების

⁹ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბერის N231 დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3214?publication=0> {12.12.2019}.

¹⁰ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2020 წლის 13 მარტის წერილი. Nმ-04/40-20.

განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გამოიყო შესაბამისი თანხა და მხოლოდ დონორთა დაფინანსების იმედად დარჩა, რაც იმთავითვე ქმნიდა მოლოდინს, რომ სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, მისი წინამორბედის მსგავსად, ვერ მოხერხდებოდა.

UNCRPD-ის რატიფიცირების შემდეგ მთავრობამ მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“ (დადგენილება N41). აღნიშნული დოკუმენტის მიზანია თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა, ასევე, მათთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში. მოცემული დოკუმენტი კარგია გარემოზე მისაწვდომობის სტანდარტის დადგენისა და მისი გავრცელების არეალის თვალსაზრისით, თუმცა, ის არაერთ ხარვეზს შეიცავს. გარდა ამისა, არ არსებობს დოკუმენტის აღსრულების მექანიზმი, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მისი ეფექტურობის საკითხს.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად ხაზგასმულია შემდეგი პრიორიტეტები:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე მათი საჭიროებების გათვალისწინებით;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსების დაცვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა;

გ) საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულყოფილი მონაწილეობა;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა;

ე) საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;

ვ) შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.¹¹

აღნიშნული სტრატეგია ადამიანის უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზების იდეას ეფუძნება და განსაზღვრავს საქართველოს ხელისუფლების გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს ამ სფეროში უწყებათაშორისი, მრავალსექტორული, ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკის ჩამოყალიბების, „კარგი მმართველობის“ განხორციელების და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით. ეროვნული სტრატეგია ითვალისწინებს შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, მათი უფლებების დაცვას გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური პრინციპების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფას და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებსა და სატრანსპორტო საშუალებებზე მისაწვდომობას. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლებისთვის)“. ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 და 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმების შშმ პირთა უფლებების თავი ითვალისწინებდა კონვენციის პრინციპების დანერგვის ღონისძიებებს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N76 განკარგულებით დამტკიცებულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“, რომელშიც კონსოლიდირებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ გასატარებელი ღონისძიებები შშმ პირთა უფლებების დაცვის და კონვენციის პრინციპების დანერგვის მიმართულებით. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ გასული წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები საერთოდ არ განხორციელებულა, რაც ნეგატიურად აისახა შშმ პირთა უფლებების რეალიზებაზე. აღნიშნული კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვებთან მიმართებით, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

¹¹ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის, მე-15 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy> {12.12.2019}.

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა

საქართველოს მთავრობამ 2018 წლის 17 აპრილის №182 დადგენილებით დაამტკიცა ადამიანის უფლებების დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა,¹² რომელიც 2014-2020 წლებში საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესასრულებლად გამიზნულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ის მოიცავს არაერთ უფლებას (მაგალითად, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, გამოხატვის თავისუფლება), ასევე, სხვადასხვა უმცირესობის დაცვისკენ მიმართულ თავებს (გენდერული თანასწორობა, ბავშვთა უფლებები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები).

მოცემული გეგმის მე-19 თავი, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს, შეძლებისდაგვარად პასუხობს ამ პირთა წინაშე არსებულ გამოწვევებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა დასაქმების პოლიტიკა, პროფესიული და სკოლამდელი განათლება - გარკვეული პროგრესი შეინიშნება. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წელს შესული ცვლილებების¹³ მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ვალდებულებად განესაზღვრა ინკლუზიური განათლებისთვის საჭირო პირობების შექმნა. თუმცა, ცალკეული დონისძიებები საკმარისი არ არის

¹² საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის დადგენილება №182 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=0> {12.15.2020}.

¹³ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4249959?publication=0> {12.15.2019}.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის. საჭიროა მეტი ძალისხმევა სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად.

სამოქმედო გეგმაში ზოგიერთი საქმიანობა ძალიან ვიწროდ არის გაწერილი, რაც ქმნის ლეგიტიმურ მოლოდინს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები ვერ იქნება სათანადოდ რეალიზებული იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული ღონისძიებები სრულად განხორციელდება. მაგალითად, წინა წლების სამოქმედო გეგმის მსგავსად, 2018-2020 წლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვალდებულებად კვლავ განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა (19.1.4). გეგმაში არ არის ასახული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გენდერული საკითხი. ამასთან, მითითებული არ არის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებისთვის საჭირო საბიუჯეტო რესურსი.

ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო გეგმაში, წინა წლების (2016-2017) მსგავსად, აისახა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან. თუმცა, სამწუხაროდ, ეროვნულ კანონმდებლობაში დღემდე არ განხორციელებულა არსებითი ცვლილებები კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად.

შეიძლება ითქვას, რომ სამოქმედო გეგმაში, ძირითადად, აისახა კონვენციის მოთხოვნებთან თანხვედრი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნისთვის აუცილებელი ვალდებულებები. თუმცა, მთავრობამ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ამ დრომდე ვერ უზრუნველყო.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაცია მათი ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის და დამოუკიდებლად ცხოვრების უფლების სრულფასოვანი რეალიზების წინაპირობაა.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია შშმ პირთა სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის გაუმჯობესება. ინდიკატორად განსაზღვრულია შშმ პირთა შეფასების ახალი ინსტრუმენტის შემუშავება და დანერგვა. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა ამოცანისა და საქმიანობის რელევანტურობის პრობლემა. შშმ პირთა შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირების მიზნით ახალი მოდელის მომზადება ცალკე მიზნად უნდა განსაზღვრულიყო. ამასთან, სამოქმედო გეგმაში არ არის ასახული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო მოდელით შეფასებასთან დაკავშირებული საკითხი.

პრობლემას წარმოადგენს საყოველთაო დაზღვევა, ვინაიდან პროგრამის ბენეფიციარებისთვის არ არის ნათელი, ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო რა სახის მომსახურებას ანაზღაურებს. გარდა ამისა, გართულებულია მომსახურების მიღება ფსიქიატრიულ სტაციონარულ დაწესებულებაში მყოფი პაციენტებისთვის, ვინაიდან პრაქტიკულად არ ხდება სომატური დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა. გამოწვევად რჩება ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების მიმღებ პირთა ჩართვა C ჰეპატიტის

ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში.¹⁴ ასევე, პრობლემას წარმოადგენს შშმ ქალების/გოგონების რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის უფლებების სათანადო რეალიზება. აღნიშნული კი, გარკვეულწილად, გამოწვეულია სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო მოწყობილობების არაადაპტირებასთან.

ყოველწლიურად მტკიცდება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფს. თუმცა, აღნიშნული პროგრამის მთავარ გამოწვევად რჩება ის, რომ მომსახურებათა დაგეგმვა საჭიროებების კვლევას არ ეფუძნება.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შშმ პირთა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას (19.1.6.). გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 26-ე მუხლი გულისხმობს რეაბილიტაციას და აბილიტაციას. აღნიშნული მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ეფექტიან ზომებს, რათა უზრუნველყონ შშმ პირთა მაქსიმალური დამოუკიდებლობა, ფიზიკური, მენტალური, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების სრულად გამოყენება. თუმცა, სამოქმედო გეგმაში ცალკე ამოცანად არ არის გამოყოფილი ზრდასრულ შშმ პირთა რეაბილიტაციის პროგრამა და ის მხოლოდ ამოცანის ინდიკატორად არის განსაზღვრული.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრების სერვისების ხელმისაწვდომობა. სახელმწიფოს მოქმედი სოციალური პროგრამების ცალკეული კომპონენტები ფრაგმენტულად მოიცავს შშმ პირთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნებს, თუმცა, ადეკვატური სპეციალიზებული სერვისები მათთვის რეალურად არ არსებობს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის N279 დადგენილებით დამტკიცებულია „სოციალური პაკეტის განსაზღვრის წესი“, რაც შშმ პირთა კატეგორიების შესაბამისად, დიფერენცირებული სოციალური პაკეტის შემუშავებას გულისხმობს.

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. თბილისი, 2018 წელი. ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> {02.07.2020}

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, სამემოსავლო გადასახადით არ იბეგრება ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე. აღნიშნული ეხება მხოლოდ ერთ სამუშაო ადგილზე დასაქმებულ პირს. ასევე, აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში სოციალური დახმარება უწყდება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი განისაზღვრება „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარებისას, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დგინდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტებით¹⁵ განსაზღვრული დაავადებების, ანატომიური და გონებრივი დეფექტების ნუსხის საფუძველზე, შესაძლებლობის შეზღუდვის სიმძიმისა და ხარისხის გათვალისწინებით. ესენია: 1. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი; 2. მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი; 3. ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი.

აღსანიშნავია, რომ სტატუსის მინიჭების დღეს მოქმედი წესი ეფუძნება სამედიცინო მოდელს, რომელიც პირის ნოზოლოგიაზე აკეთებს აქცენტს. შეზღუდული შესაძლებლობის აღქმა მხოლოდ ნოზოლოგიაზე არ უნდა იყოს მიბმული, ვინაიდან შესაძლებლობების შეზღუდვას იწვევს ის გარემო ბარიერები, რომლებიც შშმ პირებს საკუთარი უფლებების რეალიზებაში უშლის ხელს. სამოქმედო გეგმაში კი, აღნიშნული საკითხი განსაზღვრული არ არის.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UNCRPD) ასევე მიუთითებს, რომ შშმ ბავშვები მიეკუთვნებიან განსაკუთრებით

¹⁵ „შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი“ დადგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 17 მარტის N62/ნ ბრძანება, „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N1/ნ ბრძანება).

მოწყვლად ჯგუფს და მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, მათ მიმართ შესაბამისი ყურადღება გამოიჩინონ.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის 2017-2030 წლების სტრატეგიასა და სამწლიან სამოქმედო გეგმაში (2017-2019) გათვალისწინებულია შშმ პირთა ხელმისაწვდომობა ასაკის შესაბამის განათლებაზე, ოჯახის დაგეგმვისა და სქესობრივი, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე.

დასაქმება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიარებულია მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვის, შრომის სამართლიანი ანაზღაურებისა და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფის ვალდებულებები. 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა განახორციელა ევროსაბჭოს მიერ 1996 წელს მიღებული „ევროპის სოციალური ქარტიის“ რატიფიცირება გარკვეული დათქმებით, რითაც აღიარა შრომის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა და იკისრა საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის შშმ პირების, შრომის უფლების რეალიზაციისა და შრომის სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველყოფის ვალდებულება.

UNCRPD-ის 27-ე მუხლი ითვალისწინებს შრომისა და დასაქმების უფლებას, რომლის რეალიზებისთვის სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას შშმ პირთა შრომისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები, მათ შორის, წამახალისებელი და მხარდამჭერი დამატებითი გარანტიები. კონვენციის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება სხვებთან თანასწორ პირობებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. კონვენცია განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობას მათთვის მისაწვდომ და ინკლუზიურ სამუშაო გარემოში, საჯარო სექტორსა და კერძო კომპანიებში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულია ყოველი ადამიანის შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევისა და

სამართლიანი, ხელსაყრელი პირობების მიღების, თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურების უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ გაეროს საერთაშორისო პაქტით აღიარებულია თითოეული ადამიანის უფლება, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან დათანხმდება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის გაეროს სტანდარტული წესების მიხედვით, „სახელმწიფოები მოვალენი არიან, აღიარონ პრინციპი, რომლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა მიეცეთ თავიანთი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა ყველა და, მათ შორის, დასაქმების სფეროში. უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები შრომით ბაზარზე, შემოსავლის მომტან საქმიანობაში როგორც სოფლად, ისე ქალაქად. დასაქმების სფეროში მოქმედი კანონები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ და არ უნდა ქმნიდეს წინაღობებს მათი შრომითი მოწყობისთვის.“¹⁶

შრომითი უფლებები უფრო დეტალურად გაწერილია საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“. მასში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, განისაზღვრა ცნება „დისკრიმინაცია“ და სხვა დაცულ ნიშნებს დაემატა „დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით“. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ყველა საჯარო მოსამსახურე დაცულია კანონის წინაშე და დაუშვებელია სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე საქართველოს მოქალაქის უფლებების დარღვევა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. თუმცა, შრომის უფლების რეალიზება დღემდე რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად შშმ პირებისთვის და გამოწვევად - სახელმწიფოსთვის. შრომის უფლებით სათანადო სარგებლობის საკითხი კომპლექსური პრობლემაა, მისი სირთულეების მრავალგვარობიდან გამომდინარე. ღია შრომით ბაზარზე შშმ პირთათვის პრობლემას წარმოადგენს როგორც არასათანადო და არაეფექტური საკანონმდებლო ბაზა, ისე პრაქტიკასა და გარემოში არსებული ბარიერები. საზოგადოების სტერეოტიპული განწყობის შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ განიხილებიან შრომის ბაზრის პოტენციურ

¹⁶ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1993 წლის 20 დეკემბრის 48/96 რეზოლუციით მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები, მე-7 წესის 1-ლი პუნქტი.

წევრებად. დამსაქმებლების არასწორი წარმოდგენები, ძირითადად, უკავშირდება შშმ პირთა უნარების არასათანადო შეფასებას, ასევე, მათთვის სამუშაო ადგილების და პირობების მისადაგების „სიძვირეს“.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომას არეგულირებს „სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის V თავი, სადაც უფრო ვრცლად არის მოცემული ამ მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. კანონი აღიარებს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თავიანთი შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით და რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად, უფლება აქვთ, იმუშაონ შრომის ჩვეულებრივი პირობების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (საკუთრებისა და მეურნეობის ფორმის მიუხედავად), სპეციალიზებულ საწარმოებში, საამქროებსა და უბნებზე, სადაც გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომა, აგრეთვე, ეწეოდნენ კანონით ნებადართულ ინდივიდუალურ და სხვა სახის შრომით საქმიანობას.“ თუმცა, აღნიშნულ კანონს ე.წ. „მკვდარ კანონსაც“ უწოდებენ, ვინაიდან არ არსებობს მასში მოცემული ნორმების იმპლემენტაციის სამართლებრივი ბერკეტი.

ასევე, 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შშმ პირთა შრომის უფლების რეალიზებას და დასაქმების უზრუნველყოფას (19.1.8.).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში შშმ პირთა დასაქმების ხელშემშლელი ისეთი ფაქტორები არსებობს, როგორცაა:

- არაადაპტირებული ფიზიკური გარემო და სამუშაო სივრცე;
- განათლების სისტემა, რომელიც არ არის შშმ პირებზე მორგებული;
- დამსაქმებელთა მხრიდან არსებული სტიგმა და სტერეოტიპები შშმ პირთა მიმართ;
- დღეს მოქმედი კანონმდებლობა „გონივრულ მისადაგებაზე“ უარს არ განიხილავს დისკრიმინაციად.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით,¹⁷ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა

¹⁷ საჯარო სამსახურის ბიუროს 2020 წლის 11 თებერვლის წერილი №გ1224.

საერთო რაოდენობა შეადგენდა 47,657-ს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთო რაოდენობა - 89-ს.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა www.worknet.gov.ge-ზე დარეგისტრირებულია 304 624 სამუშაოს მაძიებელი.¹⁸

სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით კი შემდეგნაირად გამოიყურება:

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების
მაჩვენებელი დასაქმების ხელშეწყობის სერვისების მიხედვით**

სერვისები/პერიოდი	2018 წელი	2019 წელი
მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში	10	16
დასაქმების ფორუმი	10	19
საშუამავლო მომსახურება	11	22
მხარდაჭერითი დასაქმება	31	33
სტაჟირების კომპონენტი	13	16
სუბსიდირება	24	2

¹⁸ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #05/36, 19.02.2020.

შშმ პირთა დასაქმებას ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რამდენიმე პროგრამა და სტრატეგია, მათ შორის: „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა“, „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა“, „პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების (2013 წლის 19 დეკემბრის N01-258/ო ბრძანება) საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტოში 2013 წლის 25 დეკემბრიდან მოქმედებს შრომის ბაზრის საინფორმაციო მართვის სისტემა worknet.gov.ge. სისტემის მიზანია სამუშაოს მაძიებელთა მონაცემთა ბაზის შექმნა, შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების შესწავლა, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა და კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირება.

კვლევის ფარგლებში საიამ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია 2017-2018 წლების განმავლობაში worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკური მონაცემების შესახებ. თუმცა, სააგენტომ ორგანიზაციას მხოლოდ 2017 წლის მონაცემები¹⁹ მიაწოდა, რომლის მიხედვით, worknet.gov.ge-ზე 2017 წლის განმავლობაში 1070 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყო რეგისტრირებული. აქედან შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 103 ადამიანს. მხარდაჭერითი დასაქმების ფარგლებში გაწეული საშუალო მომსახურებით 2017 წელს 42 შშმ პირი დასაქმდა. ამავე სააგენტოს მიერ მოწოდებული დანართიდან ირკვევა, რომ შშმ პირთა დასაქმების ხანგრძლივობამ შეადგინა 1-დან 12 თვემდე.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმებისთვის სოციალური მომსახურების სააგენტომ ხელფასების 50%-იანი სუბსიდირების პროგრამა დაამტკიცა. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება²⁰ ითვალისწინებდა

¹⁹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 4 აპრილის წერილი N04/18550.

²⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება N665 „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4440968?publication=0> {02.10.2020}.

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2019 წლის სახელმწიფო პროგრამას. 2019 წლის 31 დეკემბერს კი, შემუშავდა 2020 წლის სახელმწიფო პროგრამა,²¹ რომელიც ითვალისწინებს ახალ ან არსებულ თავისუფალ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ბენეფიციართა შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას 50%-ის ოდენობით, არაუმეტეს თვეში 560 ლარისა, 4 კალენდარული თვის განმავლობაში. სუბსიდირების კომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელ საქართველოს მოქალაქეებს. კერძოდ:

- 16 წლიდან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებს მოწყვლადი ჯგუფებიდან (დევნილები, სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს);
- სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფ და სახელმწიფოს ზრუნვიდან გამოსულ პირებს;
- ახალგაზრდებს, რომლებმაც სწავლა ნაადრევად შეწყვიტეს თანხის გადაუხდელობის გამო;
- ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლ ახალგაზრდებს, ადრეული ასაკიდან ქორწინებაში მყოფ ახალგაზრდა ქალებს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებს, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ან/და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და გამოხატავენ დასაქმების სურვილს.

2018 წელს სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგი²² ადასტურებს, რომ შშმ პირისთვის სამუშაოს დაწყება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. დასაქმება, ძირითადად, ხდება ორგანიზაციების ცალკეული ინიციატივებით და კამპანიური ხასიათისაა. სახელმწიფოს პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერის ამოწურვის შემდეგ შშმ პირთან შრომითი ურთიერთობა, უმეტესად, არ გრძელდება. გარემოს მისაწვდომობის პრობლემა მნიშვნელოვანი ბარიერია მათთვის სამსახურში მისვლის, სამუშაოს შესრულებისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. დასაქმების შედეგად მიღებული

²¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება N665 „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4761861?publication=0> {02.10.2020}.

²² შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები, მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. თბილისი, 2017 წელი.

ანაზღაურება ძალიან დაბალია, რის გამოც, სხვა დამატებითი ბარიერების გათვალისწინებით, შშმ პირის მუშაობა არამომგებიანია.²³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დასაქმების ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სხვების თანასწორად, გახდნენ კონკურენტუნარიანები, აუცილებელია:

- სისტემური ცვლილებები განათლების სფეროში - პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში ინკლუზიის დონის ამაღლება;
- გარემოსა და ინფრასტრუქტურის ადაპტირება - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გამოყონ საჭირო ფინანსური სახსრები;
- დასაქმების კონსულტანტთა რაოდენობისა და გეოგრაფიული დაფარვის გაზრდა;
- კერძო სექტორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების შემთხვევაში საგადასახადო შედავათების შემოღების საკითხის შესწავლა და შესაბამისი ცვლილებების ინიცირება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სათანადოდ არ ხდება დასაქმების სახელმწიფო პროგრამების ხარისხის კონტროლი და მონიტორინგი. ამასთანავე, მასში ჩართულნი არ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციები.

²³ იქვე.

განათლება

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. 1994 წელს საქართველო მიუერთდა გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის განათლების უფლების დაცვასა და რეალიზაციას.

განათლების საკითხს ეხება სამოქმედო გეგმის 19.1.3 პუნქტი, რომლის მიზანია შშმ პირთა განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. UNCRPD-ის 24-ე მუხლი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინკლუზიური განათლების დანერგვა ზოგადი განათლების საფეხურზე ჯერ კიდევ UNCRPD კონვენციის რატიფიცირებამდე ბევრად ადრე, 2006 წელს დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ორგანული კანონების დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უფლება საქართველოში აღიარებულია, არსებობს ბარიერები ამ უფლების რეალიზების კუთხით. ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩო არ ქმნის ბავშვისა და სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სტრუქტურირებულ და მოქნილ სისტემას.

საქართველოში ინკლუზიური განათლება რეგულირდება სამი ძირითადი კანონით - „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, „საქართველოს კანონი

პროფესიული განათლების შესახებ“ და „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“.

2014 წლის 28 ნოემბერს განხორციელდა ცვლილება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში,²⁴ რითაც დაიხვეწა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებული რეგულაციები. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს მიენიჭა უფლებამოსილება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრისა და განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევის მიზნით, გარდა მოსწავლისა, შეაფასოს ნებისმიერი პირი, რომელსაც არ გააჩნია საგანმანათლებლო ისტორია (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში, 2015).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცდა ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიცირების მექანიზმი.

როგორც ინკლუზიური განათლების ექსპერტები აღნიშნავენ, ეროვნული სასწავლო გეგმა ყველა შემთხვევაში (განსაკუთრებით, მძიმე და მრავლობითი გონებრივი დარღვევების დროს) არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბავშვებს ფუნქციური და აკადემიური უნარები განუვითაროს. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს განსხვავებული ტიპის სასწავლო მოწყობას, რაც ხშირად აუცილებელია ღრმა ინტელექტუალური და მრავალმხრივი დარღვევის მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში ეფექტური ჩართვისთვის. აღნიშნული კი, ეწინააღმდეგება UNCRPD-ის პრინციპებს.

2018 წლის 7 ივლისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში,²⁵ რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ინკლუზიური განათლების განვითარების კუთხით. კერძოდ:

➤ სპეციალური მასწავლებელი გახდა მასწავლებელი;

²⁴ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (28 ნოემბერი 2014წ. N2822-ის), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2601513?publication=0> {02.10.2020}.

²⁵ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (დოკუმენტის ნომერი 3025-რს), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4249959?publication=0>.

- სისტემამ აღიარა ალტერნატიული და გაფართოებული სასწავლო გეგმები;
- სპეციალურ სკოლებს შეეცვალა სტატუსი და გახდა რესურსსკოლები;
- გაჩნდა ინტეგრირებული და სპეციალიზებული კლასების ტერმინთა განმარტებები.

კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, ინკლუზიური განათლების სფეროში დასაქმებული სპეციალისტები სისტემამ აღიარა მასწავლებლებად. აღნიშნული ცვლილება მისასაღმებელია, ვინაიდან მანამდე სპეცვიდაგოგები სკოლის ადმინისტრაციის ნაწილად ითვლებოდნენ.

მოსაგვარებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზოგადი განათლების საკითხი. არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სასწავლო პროგრამები, აუდიო და ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და ა.შ. პრობლემურია სპეციალური პედაგოგების რაოდენობა და კვალიფიკაცია. განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში სპეციალიზებული სკოლების არსებობა, რაც არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს.

ამასთან, პრაქტიკაში პრობლემებს ქმნის ის, რომ ამ დრომდე არ განხორციელებულა საკანონმდებლო ცვლილებები შშმ ბავშვების შესახებ უწყებათაშორისი ინფორმაციის გაცვლის ბარიერების აღმოფხვრის მიზნით, არ შემუშავებულა სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეების მონიტორინგის მექანიზმი და სკოლის მიტოვების პრევენციის სტრატეგია. კვლავ არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ შშმ ბავშვთა რაოდენობის და მათი საჭიროებების შესახებ,²⁶ რაც ართულებს შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას და განხორციელებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს შშმ პირთა თანაბარი მისაწვდომობა პროფესიულ განათლებაზე. დასახვეწია პროფესიული განათლების შესახებ არსებული კანონი. არ არსებობს საჭიროებებზე დაფუძნებული კვლევები. პრობლემას წარმოადგენს პროფესიული განათლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობაც. ორგანულ კანონში ცვლილებების განხორციელების გარდა, აუცილებელია, შემუშავდეს მარეგულირებელი

²⁶ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ. 265. თბილისი, 2018 წელი. ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> {02.07.2020}.

კანონქვემდებარე აქტები, რათა დარეგულირდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიღების წესი, შეფასების საკითხი, პროფესიული სასწავლებლის, მათ შორის, ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის ვალდებულებები და ფუნქციები, მონიტორინგის მექანიზმი და ა.შ.

უმაღლეს განათლებას რაც შეეხება, ზოგად განათლებასთან შედარებით, რთული ვითარებაა საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრის კუთხით. არსებული კანონმდებლობა სრულად არ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების უფლებას განათლების უმაღლეს საფეხურზე. ერთადერთი, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონშია მითითებული, არის ის, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის პირობების შექმნაზე“, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის“. უმაღლესი განათლების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს მოსაწესრიგებლად რამე კონკრეტული ძალისხმევა ჯერჯერობით არ გაწეულა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკა

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს სტატისტიკის წარმოებას. 31-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, მოიძიონ შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის სტატისტიკური და კვლევითი მონაცემები, რაც უზრუნველყოფს წინამდებარე კონვენციის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო პოლიტიკის შემუშავებას.

თუმცა, სამწუხაროდ, კონვენციის რატიფიცირებიდან 5 წლის შემდეგ სახელმწიფოს კვლავ არ გააჩნია სრული სტატისტიკური მონაცემები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ. 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში სულ აღრიცხულია 100,113 შშმ პირი, მაშინ, როდესაც 2015 წლის 1-ლი მარტის მდგომარეობით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღები 118,651 შშმ პირია რეგისტრირებული, ხოლო 2017 წელს – 125,104.

ზემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემები დაფუძნებულია საყოველთაო აღწერის ფარგლებში რესპონდენტების მიერ შევსებულ კითხვარებზე, ანუ, თვითშეფასებაზე. აქედან გამომდინარე, მსგავსი სახის სტატისტიკური მონაცემები ნაკლებად რელევანტური და ინფორმაციულია, ვინაიდან მათი სანდოობა ემყარება მხოლოდ პირის სურვილს, მიუთითოს ან არ მიუთითოს მისი ან მისი ოჯახის წევრის სტატუსი, ასევე - მის ცოდნასა და ინფორმირებულობას შესაძლებლობის შეზღუდვის თაობაზე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მოწოდებული ბოლო, 2014 წლის, საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში სულ აღრიცხულია 100,113 შშმ პირი, რაც საერთო მოსახლეობის დაახლოებით 2.7%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ საქსტატის მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 82,000 პირის შემთხვევაში არ იყო მითითებული, ან რესპონდენტმა უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე, რაც ნიშნავს, რომ შშმ პირთა რაოდენობა ქვეყანაში, სავარაუდოდ, უფრო მაღალია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკურ მონაცემებს ასევე აღრიცხავს საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ინფორმაციას მხოლოდ სოციალური პაკეტის და სხვა სახელმწიფო გასაცემლების მიმღები შშმ პირების შესახებ ფლობს. აღნიშნული მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ შშმ პირთა ჯამურ ოდენობას, რეგიონებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილი ჯგუფების მიხედვით. სოციალური სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,²⁷ 2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის საფუძვლით სხვადასხვა სახელმწიფო გასაცემლის (სოციალური პაკეტი, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 129 753-ს, მათ შორის, ფულადი სოციალური დახმარების - საარსებო შემწეობის მიმღებია 27 889 ბენეფიციარი.

²⁷ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 12 თებერვლის წერილი N04/4585.

მისაწვდომობა

შშმ პირთა სრულფასოვანი ცხოვრების უზრუნველყოფისთვის მისაწვდომობის უფლების რეალიზება უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ეროვნულ დონეზე არ არის შესწავლილი მისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული საჭიროებები. შშმ პირთათვის გამოწვევად რჩება სოციალური დანიშნულების ობიექტებით, მუნიციპალური ტრანსპორტითა თუ საგზაო ინფრასტრუქტურით სარგებლობა. ამის გამო, ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობების შეზღუდვა მომდინარეობს არა საკუთრივ შშმ პირთა რესურსებიდან, არამედ გარემო პირობებიდან, რომლებიც მათ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს.

UNCRPD-ის მე-9 მუხლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისთვის, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ისე სოფლის პირობებში.²⁸ აღნიშნული მოიცავს შენობა-ნაგებობებს, გზებს, ტრანსპორტს, შიდა და გარე ობიექტებს, სკოლებს, საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, სამუშაო ადგილებს, ინფორმაციას, კომუნიკაციას, ელექტრონულ და სასწრაფო-საავარიო სამსახურებს.

²⁸ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0> {02.07.2020}.

ამასთან, UNCRPD-ს შემოაქვს „უნივერსალური დიზაინისა“ და „გონივრული მისადაგების“ პრინციპის ცნება. უნივერსალური დიზაინი გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე.²⁹ „გონივრული მისადაგების“ პრინციპი არის აუცილებელი და შესაფერისი ცვლილება, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ათავისუფლებს არაპროპორციული ან მიუღებელი ტვირთისგან, როდესაც ეს აუცილებელია, რათა სხვებთან თანასწორ პირობებში შეძლოს, ისარგებლოს ან განახორციელოს ყველა ძირითადი უფლება და თავისუფლება.³⁰ ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გამოწვევები, შესაძლოა, თავიდან იყოს აცილებული ან მნიშვნელოვნად შემცირებული გონივრული და არაძვირადღირებული უნივერსალური დიზაინის გამოყენებით, რომლითაც ყველა ისარგებლებს.

1995 წელს მიღებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის³¹ მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისთვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისთვის. აღნიშნული კანონმდებლობა არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს და მისი პრაქტიკაში იმპლემენტაცია არ ხდება აღსრულების მექანიზმის არარსებობის გამო.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხორციელება სხვების თანაბრად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრული ჩართულობა წარმოადგენს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის) ერთ-ერთ მიზანს. ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საზოგადოებრივი

²⁹ UNCRPD, მუხლი 2.

³⁰ იქვე.

³¹ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30316>.

დანიშნულების ობიექტების და სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“.³²

2014 წლის 6 იანვარს საქართველოს მთავრობამ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი“ მიიღო.³³ აღნიშნული დოკუმენტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართვა. ასევე, პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება. აღნიშნული ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“ და სსიპ „თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური“. თუმცა, დოკუმენტში მოცემული სტანდარტები მოძველებულია და არაერთ ხარვეზს შეიცავს.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“³⁴ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე-12 მუხლი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შენობა-ნაგებობებისა და საზოგადოებრივი სივრცეების გამოყენებას. ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობათა მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების დამუშავება დაუშვებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვის გარეშე. ხოლო აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს იმ ობიექტებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ესენია:

- საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული, კულტურულ-სანახაობრივი, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალიზებული საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობები;
- ჯანდაცვის, განათლების, სამეცნიერო და საბანკო-საფინანსო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობები;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული შენობა-ნაგებობები;

³² ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2348314?publication=0> {02.07.2020}.

³³ ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf {02.07.2020}.

³⁴ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5014%3E?publication=0> {02.07.2020}.

- პარკები, ბაღები, ბულვარები, სკვერები და მათ ტერიტორიაზე არსებული რეკრეაციული და გამაჯანსაღებელი დანიშნულების ობიექტები;
- სამოქალაქო დანიშნულების სატრანსპორტო მომსახურებისა და კავშირგაბმულობის ობიექტები, მათ შორის, რკინიგზისა და ავტო სადგურები, აეროპორტები, საზღვაო პორტები, ყველა სახის საქალაქო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გაჩერებები;
- ქუჩები და მათი ტროტუარები. ხოლო მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საცხოვრებელი (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებლისა) შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობა, სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტისგან“ განსხვავებით, დადებითად უნდა შეფასდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.³⁵ დადგენილების მე-11 თავის დებულებები არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისაწვდომი საშუალებების დაგეგმარებას და მშენებლობას.³⁶ შპმ პირებისთვის მისაწვდომი შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარება და მშენებლობა უნდა შეესაბამებოდეს წესებსა და ICC A 117³⁷-ს.³⁸ როგორც სსიპ საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოდან მიღებული წერილიდან³⁹ ირკვევა, დღევანდელი მდგომარეობით სააგენტოში ჯერჯერობით არ შესულა მოთხოვნა ICC A 117 სტანდარტის (ქართულენოვან

³⁵ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება: „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176389> {02.17.2020}.

³⁶ იქვე, თავი 11, ქვეთავი 1101.

³⁷ ICC A 117 - მისაწვდომი და გამოყენებადი შენობები და ობიექტები. ხელმისაწვდომია: https://cdn.ymaws.com/www.aiatriangle.org/resource/resmgr/CE_/ICC_A117.1-09.pdf {02.17.2020}.

³⁸ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“. თავი 11, ქვეთავი 1101.2; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176389?publication=0> {02.17.2020}.

³⁹ სსიპ საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოდან მიღებული წერილი N109გ, 28 თებერვალი, 2020 წელი.

ტექსტთან ერთად) საქართველოს სტანდარტად მიღებისთვის აუცილებელი პროცედურების წარმართვის შესახებ.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს განეკუთვნება ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა. ამასთან, მის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და ზედამხედველობის განხორციელება.⁴⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 178¹-ე და 178²-ე მუხლების თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საცხოვრებლით, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით უზრუნველყოფის, აგრეთვე, მისი თავისუფალი გადაადგილებისთვის აუცილებელი პირობების შექმნისთვის თავის არიდება.⁴¹

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 20 ივლისს მიიღო „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“,⁴² რომლის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე სივრცის დაგეგმარების, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება. აღნიშნული კოდექსის 85-ე მუხლი ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შენობა-ნაგებობისა და საზოგადოებრივი სივრცის გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შენობა-ნაგებობა (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებლისა) იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და აშენებული, რომ დაცული იყოს შშმ პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები.⁴³ ეს მოთხოვნა ვრცელდება აგრეთვე შენობა-ნაგებობისთვის მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე, ასევე, საზოგადოებრივ სივრცეზე (პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, ქუჩა, ტროტუარი და სხვა).⁴⁴

⁴⁰ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41> {02.07.2020}.

⁴¹ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=433> {02.07.2020}.

⁴² ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276845?publication=1> {02.07.2020}.

⁴³ იქვე, 85-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁴⁴ იქვე, 85-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

როგორც სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშშია აღნიშნული, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში შშმ პირთათვის სივრცის მოწყობის მარეგულირებელი სამშენებლო სტანდარტები დანერგილი არ არის და მათ აღსრულებაზე სათანადო ზედამხედველობა არ ხორციელდება.⁴⁵

ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება შშმ პირთათვის მისაწვდომობის კუთხით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს და წინააღმდეგობაშია CRPD-ის პრინციპებთან.

⁴⁵ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. თბილისი, 2018 წელი. ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> {02.09.2020}.

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კვლავ განიცდიან დისკრიმინაციას, რის შესახებაც საუბარია სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლებამ იკისრა დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმის შექმნის ვალდებულება. შედეგად, საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდეგში - ანტიდისკრიმინაციული კანონი), რომელიც მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. კანონში, სხვა დაცულ ნიშნებს შორის, მოცემულია დისკრიმინაცია შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დისკრიმინაციის ცნებას, კანონის მოქმედების სფეროს, იმ ძირითადი ნიშნების ჩამონათვალს, რომელთა საფუძველზეც აკრძალულია დისკრიმინაცია, ასევე, მოცემული და განმარტებულია ის დონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, კანონის მიღების პარალელურად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები და მას დაემატა 73-ე კარი, რომელიც არეგულირებს

დისკრიმინაციის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურებს.

კანონი, სხვა დაცულ სფეროებს შორის, პირდაპირ მიუთითებს ისეთ ნიშანზე, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობა, ასევე, განსაზღვრავს დისკრიმინაციის სახეებს - პირდაპირს და ირიბს.

პირდაპირ დისკრიმინაციად შეფასებულია ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. აღნიშნულმა კანონმა, იმავდროულად, აკრძალა დისკრიმინაციული ქმედების წაქეზება და ხელშეწყობა. ასევე, აღსანიშნავია კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ეხება დისკრიმინაციას მრავალი ნიშნის საფუძველზე.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის ზედამხედველობის ფუნქცია დაეკისრა დამოუკიდებელ ორგანოს - საქართველოს

სახალხო დამცველს. აღნიშნულის საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი.

სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისთვის საკმაოდ საინტერესოა ერთ საქმეში ორივე მექანიზმის გამოყენება. ამასთან, მისასაღებელია გასაჩივრების ვადის 6 თვიდან 1 წლამდე გაზრდა, ვინაიდან ხშირად მსხვერპლი არ იყო ინფორმირებული და სასამართლოში გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადებს უშვებდა. დადებითად უნდა შეფასდეს ასევე საჯარო პირების სამართლებრივი რეჟიმის გავრცელება კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რაც გულისხმობს კერძო პირების ვალდებულებას, სახალხო დამცველის შესაბამის სამსახურს გადასცენ გამოთხოვნილი ინფორმაცია სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლის პროცესში და, ასევე, აცნობონ სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის შედეგის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კერძო პირი არ შეასრულებს მის მიმართ გამოცემულ რეკომენდაციას, მაშინ, ცვლილებების თანახმად, სახალხო დამცველს გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს მისი აღსრულების მოთხოვნით.

აღსანიშნავია, რომ მოცემული კანონი საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას. ის გაცილებით ეფექტიანი იქნებოდა, თუკი დარჩებოდა ისეთი სახით, როგორც იქნა წარმოდგენილი იყო თავდაპირველ ვერსიაში კანონპროექტის სახით და ითვალისწინებდა ახალი ინსტიტუტის - თანასწორობის დაცვის ინსპექტორის შემოღებას,⁴⁶ რომელიც აღჭურვილი იქნებოდა მეტი უფლებამოსილებით. კერძოდ, ინსპექტორს ექნებოდა უფლება, დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში შეედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და დაეჯარიმებინა დისკრიმინაციის განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირები. ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებდა ინსპექტორის აღჭურვას საგამოძიებო უფლებამოსილებით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა ხელისუფლების ოფიციალური ან იურიდიული პირების წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ ჩართვის შესაძლებლობას.

რაც შეეხება სხვა ქვეყნების მაგალითებს, ალბანეთში 2010 წლიდან მოქმედებს დისკრიმინაციისგან დაცვის კომისრის ინსტიტუტი (CPD),⁴⁷ რომელიც „დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად ჩამოყალიბდა.

⁴⁶ OPINION ON THE DRAFT LAW ON THE ELIMINATION OF ALL FORMS OF DISCRIMINATION. 83. 15. <https://www.refworld.org/docid/537499f04.html> {02.17.2020}.

⁴⁷ https://equineteurope.org/author/albania_cpd/ {02.17.2020}.

კომისარს ირჩევს ალბანეთის პარლამენტი. ის არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია და უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან ეფექტურ დაცვას. CPD-ში მოქმედებს რამდენიმე სტრუქტურული ერთეული, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებით. მაგალითად, ადმინისტრაციული გამოძიების სამმართველო, რომელიც შედგება 5 ინსპექტორისგან, განიხილავს ფიზიკური და იურიდიული პირების საჩივრებს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ. იურიდიული დეპარტამენტი ახორციელებს სასამართლო წარმომადგენლობას, ამზადებს სასამართლო სარჩელებს და აკონტროლებს CPD-ის მიერ დაწესებული ფულადი ჯარიმის აღსრულებას. მონიტორინგის, ანგარიშგებისა და კომუნიკაციის სამმართველო მოხსენებებს წარუდგენს საერთაშორისო და რეგიონულ ორგანოებს, წარმართავს რეგულარულ დიალოგს დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით შესაბამის სოციალურ ჯგუფებთან, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ავსტრიაში მოქმედებს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის (AUSTRIAN DISABILITY OMBUDSMAN),⁴⁸ ასევე, თანასწორობის (OMBUDSMAN FOR EQUAL TREATMENT)⁴⁹ ომბუდსმენი. პირველი მათგანი 2006 წელს ჩამოყალიბდა ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე. ომბუდსმენს თანამდებობაზე ნიშნავს სოციალურ საკითხთა მინისტრი 4 წლის ვადით. აღნიშნული ორგანო, ძირითადად, ტრიბუნალის ტიპისაა (კვაზი-სასამართლო). რაც შეეხება თანასწორობის ომბუდსმენს, ის ჯერ კიდევ 1991 წელს ჩამოყალიბდა და განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებასა და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს დასაქმებისა და მომსახურების სფეროში სქესის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიისა თუ რწმენის, ასაკისა თუ სექსუალური ორიენტაციის ნიშნის გამო.

ხორვატიაში, ომბუდსმენი,⁵⁰ როგორც ეროვნული თანასწორობის ორგანო, პასუხისმგებელია, უზრუნველყოს თანასწორობა და წარუდგინოს პარლამენტს ანგარიშები. მას გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს საჩივრები სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის ჩადენის თაობაზე რასისა და ეთნიკური წარმოშობის, რელიგიისა და რწმენის, ასაკის ნიშნით და ა.შ. (სულ, 12 დაცული ნიშნის საფუძველზე). მისი მანდატი არ ვრცელდება გენდერის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის ან ბავშვებზე

⁴⁸ https://equineteurope.org/author/austria_ado/ {02.17.2020}.

⁴⁹ https://equineteurope.org/author/austria_oet/ {02.17.2020}.

⁵⁰ https://equineteurope.org/author/croatia_ombudsman/ {02.17.2020}.

დისკრიმინაციის შესახებ საჩივრებზე. თითოეულ აღნიშნულ საკითხზე ხორვატიაში არსებობს შესაბამისი მიმართულებით მომუშავე და მანდატით აღჭურვილი ომბუდსმენი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ომბუდსმენი (OMBUDSWOMAN FOR PERSONS WITH DISABILITIES)⁵¹ პირველად 2008 წელს დაინიშნა ხორვატიის პარლამენტის მიერ, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის შესახებ“ ხორვატიის კანონის საფუძველზე. ის არის დამოუკიდებელი ორგანო. ომბუდსმენის ოფისის პრიორიტეტულ ამოცანებს წარმოადგენს ხორვატიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა, ხელშეწყობა და მონიტორინგი. ინსტიტუტი მოქმედებს, როგორც თანასწორობის ორგანო, იბრძვის შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ და, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, კონტროლს უწევს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციას. განიხილავს ფიზიკური და იურიდიული პირების საჩივრებს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ. აღნიშნული ინსტიტუტი ასევე აკონტროლებს კანონებისა და რეგულაციების შესაბამისობას სამართლებრივად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით. ამასთან, გამოდის წინადადებით შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებით კანონებსა და რეგულაციებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ზემოთ მოყვანილი რამდენიმე ქვეყნის მაგალითიდან ჩანს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და მათ მიმართ დისკრიმინაციის პრევენციისთვის ეფექტიანია არსებული ინსტიტუტის მეტად გაძლიერება.

⁵¹ https://equineteurope.org/author/croatia_opd/ {02.17.2020}.

საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ (პროექტი)

2020 წლის 3 თებერვალს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს შშმ პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს. აღნიშნული კანონის პროექტზე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნას წარმოადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი წარმომადგენლები და ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁵² აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი არ იყო ხელმისაწვდომი ცალკეული დაინტერესებული ადამიანებისთვის და მისი მომზადების პროცესში არ მონაწილეობდნენ შშმ პირები თუ სათემო ორგანიზაციები.⁵³

კანონპროექტი გვთავაზობს რამდენიმე პოზიტიურ ცვლილებას, როგორცაა, მაგალითად, სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტი, პირადი ასისტენტის სერვისი, ამასთან, ყურადღებას ამახვილებს შშმ ბავშვების საჭიროებებზე და სხვა. გარდა ამისა, კანონპროექტს შემოაქვს ისეთი ცნებები, როგორცაა გონივრული

⁵² გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მე-4 მუხლი, მე-3 პუნქტი.

⁵³ შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები და აქტივისტები „შშმ პირთა უფლებების შესახებ“ კანონპროექტს ეხმებიან. ხელმისაწვდომია:

<https://gyla.ge/ge/post/shshm-pirta-uflebebe-momushave-organizaciebi-da-aqtivistebi-shshm-pirta-uflebebis-shesakheb-kanonproeqts-ekhmianebian#sthash.iJWH4LRa.dpbs>.

მისადაგება და უნივერსალური დიზაინი. თუმცა, იმავდროულად, ის მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს.

კანონპროექტის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, „გონივრული მისადაგება არის პრინციპი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაფერისი ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს, რომლებიც არ განაპირობებს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს ან ვალდებულებას და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების სხვებთან თანასწორ პირობებში რეალიზებას“.

შემოთავაზებული კანონპროექტი არ განსაზღვრავს „იმ აუცილებელ და შესაფერის ცვლილებებს“, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების და თავისუფლებების სხვებთან თანასწორ პირობებში რეალიზაციისთვის უნდა განხორციელდეს, რაც გარკვეულწილად ბუნდოვანს ხდის ამ ღონისძიებების შინაარსს. გარდა ამისა, არ არის განმარტებული გონივრული მისადაგების „არაპროპორციული ან გადამეტებული ტვირთი ან ვალდებულება“, ასევე, არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კონკრეტული ღონისძიებების გატარებისას ტვირთის პროპორციულობის განსაზღვრის ნათელი კრიტერიუმები. საიას აზრით, ტვირთის პროპორციულობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამების არსებობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული დაწესებულების (საჯარო/კერძო) ფინანსური და არამატერიალური შესაძლებლობები, რათა გონივრული მისადაგების ტვირთი აიღოს არა მხოლოდ სახელმწიფომ, არამედ კერძო სექტორმაც.

კანონპროექტის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „უნივერსალური დიზაინია პროდუქტის, გარემოს, სწავლების, პროგრამებისა და მომსახურების ისეთი დიზაინი, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მასზე წვდომის საშუალებას სპეციალური ადაპტაციის აუცილებლობის გარეშე. უნივერსალური დიზაინი არ გამოირიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების ან/და სხვადასხვა სახის ხელშეწყობის გამოყენებას“.

საიას აზრით, კანონპროექტით შემოთავაზებული უნივერსალური დიზაინის ცნება კონვენციასთან შედარებით უფრო დაბალ სტანდარტს აწესებს. კერძოდ, კონვენციის შესაბამისად, უნივერსალური დიზაინი გულისხმობს პროდუქტის,

გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. კანონპროექტი კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების ან/და სხვადასხვა სახის ხელშეწყობის გამოყენებას მხოლოდ „საჭიროების შემთხვევაში“ არ გამორიცხავს, თუმცა, არ არის განსაზღვრული, თუ რა შემთხვევებს შეიძლება ითვალისწინებდეს.

კანონპროექტში მცირე თავი ეთმობა სოციალურ დაცვას,⁵⁴ თუმცა, არ არის ნათლად წარმოჩენილი, თუ რას მოიცავს იგი. მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, კონკრეტულად რა ღონისძიებებს განახორციელებს სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური უფლებების რეალიზებისთვის. არ არის მოცემული დეინსტიტუციონალიზაციის საკითხი და, ამ მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებები. გარდა ამისა, კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდება საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი მეტწილად უმოქმედო იყო, მისი ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ შშმ პირები სოციალური დაცვის მყარი გარანტიების გარეშე რჩებიან.

სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტი არ ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოსა და სახალხო დამცველისთვის მიმართვაზე. ხაზგასმით არ არის აღნიშნული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებები და არ არის ის ცალკე მუხლად ან თავად გამოყოფილი. არ არის უზრუნველყოფილი შშმ პირთა თავისუფლად გადაადგილების უფლება, აზრისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება. არც ტერმინის განმარტებასა და არც ირიბ დისკრიმინაციაში არ არის მითითებული უარი გონივრულ მისადაგებაზე, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახე. ამასთან, კანონპროექტში ის ვიწროდ არის განსაზღვრული მხოლოდ ფიზიკური გარემოს ადაპტირების ნაწილში. კანონპროექტი მოცემული კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად აწესებს ერთნაირ ხანგრძლივ ვადას სახელმწიფოსა და კერძო სექტორისთვის. აღნიშნული კი, კვლავ შეაფერხებს შშმ პირთა გარკვეული უფლებების რეალიზებას (განათლების უფლება, შრომის უფლება და ა.შ.). კანონპროექტში ცალკე არ არის განმარტებული ინკლუზიის ცნება

⁵⁴ საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (პროექტი), მე-14 მუხლი. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/243315?fbclid=IwAR3Q4ODBZW2ogVera-PkwsS5A8ydv69rEKWgJsW1BKF6SHcBQj5BzN1KJww {03.18.2020}>.

და შემოიფარგლება მხოლოდ ინკლუზიური განათლებით. კანონპროექტი ყველა მუხლთან მიმართებით საუბრობს, რომ სახელმწიფო, ფაქტობრივად, კეთილ ნებას იჩენს შშმ პირთა უფლებების რეალიზების კუთხით.⁵⁵ მაშინ, როდესაც გაეროს კონვენციისა და ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, შშმ პირთა უფლებების დაცვა ყველა სფეროში წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას და არა - მის ნებას.

⁵⁵ იქვე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სფეროში გატარებული ღონისძიებებისა და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა, ის ბოლომდე ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და აღნიშნულ საკითხზე შესაბამისი ეფექტიანი სამართლებრივი სისტემის არარსებობა. აღსანიშნავია, რომ კონვენციის რატიფიცირებიდან 7 წლის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი, განსაზღვრული არ არის კონვენციის იმპლემენტაციასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყებები.

ჯანმრთელობის უფლების რეალიზების კუთხით სახელმწიფო პროგრამებში არ არის განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები. ამასთან, არ არსებობს ზრდასრულთა რეაბილიტაციის პროგრამები.

ინკლუზიური განათლების კუთხით, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს საჯარო სკოლების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა. მისასაღმებელია ცვლილება, რომლის მიხედვითაც სპეციალური მასწავლებელი გაუთანაბრდა მასწავლებლის კატეგორიას. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება სკოლებში სპეცპედაგოგთა მცირე რაოდენობა და პერსონალური ასისტენტის არარსებობა.

დადებითად უნდა შეფასდეს დასაქმების ხელშემწყობი პროგრამა, თუმცა, როგორც კვლევამ გამოავლინა, ის დახვეწას საჭიროებს. კერძოდ, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დასაქმებულ შშმ პირთა რაოდენობა ძალიან მცირეა შეზღუდვის არმქონე პირებთან შედარებით. გამომდინარე აქედან, აუცილებელია, ამ პროგრამის დახმარებით უფრო მეტი შშმ პირი დასაქმდეს. ასევე, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს დასაქმების პროგრამის როგორც მასშტაბი, ისე ბიუჯეტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საია იმედოვნებს, რომ მოხდება საქართველოს კანონმდებლობის რევიზია და ჰარმონიზაცია გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციასთან, ასევე, განხორციელდება მისი შემდგომი მონიტორინგი პრაქტიკაში აღსრულების კუთხით.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- დროულად შეიქმნას და ამოქმედდეს ეფექტიანი მექანიზმები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის განხორციელებისა და კოორდინაციისთვის. კერძოდ, განისაზღვროს კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება;
- მთავრობამ შეიმუშაოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, რომლითაც გაიწერება კონკრეტული ღონისძიებები, მისი განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი ორგანო როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. განისაზღვროს ფინანსური კომპონენტები და გაზომვადი ინდიკატორები;
- განისაზღვროს მომდევნო წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობისთვის შესაბამისი საბიუჯეტო რესურსები და აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები;
- სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს და ამოქმედდეს ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აბილიტაცია/რეაბილიტაციის სპეციალიზებული ქვეპროგრამა. მოხდეს სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნისა და გაძლიერების ხელშეწყობა გეოგრაფიული განაწილების პრინციპის დაცვით.

საქართველოს პარლამენტს:

- განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება, რაც შშმ პირებს შესაძლებლობას მისცემს, თავიანთი უფლებების დარღვევა პირდაპირ გაასაჩივრონ გაეროს შესაბამის კომიტეტებში;
- კანონპროექტის ტექსტი შეიცვალოს იმგვარად, რომ კანონი შშმ პირთა შესახებ იყოს მათი უფლებების დაცვის რეალური ინსტრუმენტი;
- კანონით განისაზღვროს კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლება. მათ შორის, კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისად განისაზღვროს გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის ცნებები;
- გონივრული მისადაგება, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, ჩაიწეროს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში, რაც შესაძლებელს გახდის მის გამოყენებას ყველა უფლებასთან მიმართებით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვისთვის საჭირო ინსტრუმენტების მოდიფიცირება და სტანდარტიზება და დააჩქაროს სოციალურ მოდელზე გადასვლა შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის განსაზღვრის სისტემაში, რათა მოხდეს შშმ პირთა ინდივიდუალური შეფასება და მათი საჭიროებების განსაზღვრა;
- უზრუნველყოს დასაქმების პროგრამის ხარისხის ამაღლება. რაც მოიცავს დასაქმების კონსულტანტთა კვალიფიკაციისა და რაოდენობის, ასევე, შშმ პირთა დასაქმების ხანგრძლივობისა და გეოგრაფიული არეალის გაზრდას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის სისტემის უფრო მაღალი სტანდარტი. აღნიშნული ხელს შეუწყობს პრობლემების დროულ იდენტიფიცირებას, ასევე, პოლიტიკის განმსაზღვრელებს საშუალებას მისცემს, ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარების სქემა უფრო თვალსაჩინო გახადონ;

- საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის უზრუნველყოს პირადი ასისტენტის მომსახურება (ამისთვის გამოიყოს შესაბამისი ფინანსური რესურსი და საშტატო განაკვეთი);
- აღრიცხოს განათლების მიღმა დარჩენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სტატისტიკური მონაცემები. ამის მისაღწევად, აუცილებელია სხვადასხვა უწყების კოორდინირებული მუშაობა, ინფორმაციის შეგროვების მკაფიო მოთხოვნების ჩამონათვალის შექმნა და ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ნათელი სისტემის შემუშავება.

ფინანსთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტის მომზადება, რომელიც კერძო სექტორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების შემთხვევაში საგადასახადო შეღავათების შემოღებას განსაზღვრავს.